საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, 2015 წლიდან დამოუკიდებლად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით დაიწყო სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა და „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის განხორციელება. აღნიშნულის მისაღწევად, სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა გრანტის სახით გადასცა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ სარეინტეგრაციო სერვისების მიწოდებას დაბრუნებული მიგრანტებისთვის. ეს მიდგომა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა, პირველ რიგში, ბენეფიციართათვის სარეინტეგრაციო დახმარების სწრაფად და მოქნილად მიწოდების უზრუნველყოფას, ასევე ამ პროცესში გამჭვირვალობის მიღწევასა და სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებული ფორმატით, მათ განვითარებასა და გაძლიერებას. აღნიშნული ეხმიანება ასოცირების შეთანხმების ჩანაწერს, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფას. სახელმწიფო პროგრამის მიზანია ემიგრაციაში არალეგალურად მყოფი სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის წარმატებით უზრუნველსაყოფად, ისეთი სერვისების შექმნა და განვითარება, რომლებიც აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებს დაეხმარება საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის პროცესში მათ წინაშე წარმოშობილი სირთულეების დაძლევაში, რაც დაკავშირებულია როგორც ჯანმრთელობასთან და სამშობლოსგან შორს ყოფნის, რიგ შემთხვევებში იძულებით დაბრუნებისგან გამოწვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან, ისე დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებთან თუ შემოსავლის წყაროს არარსებობასთან. აღნიშნული სირთულეების გადალახვისა და საზოგადოებაში ღირსეული რეინტეგრაციისათვის რელევანტური სერვისების შეთავაზება უზრუნველყოფს პროგრამის ბენეფიციარების მხრიდან საზღვარგარეთ არალეგალურად განმეორებით წასვლის ალბათობის შემცირებას. სახელმწიფო პროგრამის სამიზნე ჯგუფია საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;
- სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდებიან „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით. სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ დაბრუნებულ მიგრანტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს მათი დაბრუნების ფორმის მიუხედავად (ნებაყოფლობით დაბრუნებულები, რეადმისირებულები, დეპორტირებულები). 2017 წელს სახელმწიფომ რეინტეგრაციის ხელშეწყობის

ვალდებულება სრულად გადმოიბარა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისგან, შესაბამისად მთელი საქართველოს ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) რეინტეგრაციის სერვისებს ფარავს სახელმწიფო პროგრამა. 2018 წლის პროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 650 000 ლარი. სამინისტროს მიერ გამოცხადებული 2018 წლის სარეინტეგრაციო პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგების საფუძველზე შეირჩა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც განახორციელებენ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებებს. გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციებია: ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველი“ - თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა- მთიანეთი ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“ - სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი ა(ა)იპ ფონდი „აფხაზინტერკონტი“ - სამეგრელო-ზემო სვანეთი (ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ - აჭარა, გურია ა(ა)იპ ფონდი „აფხაზინტერკონტი“ - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“ (KRDF) - კახეთი მოცემული არასამთავრობო ორგანიზაციები 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს შესთავაზებენ შემდეგი სახის მომსახურებებს: სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება 1000 ლარის ფარგლებში გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე ბენეფიციარებისათვის:

- ინფორმაციის მიწოდება მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების შესახებ და

აღნიშნულ პროგრამებში ჩართვაში დახმარების გაწევა.

- მწვავე, ქრონიკული ან/და სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირებისათვის ყველა სახის საჭირო სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება.

- ფსიქო-სოციალური დახმარების საჭიროებების გამოვლენა და რეაბილიტაცია. საშემოსავლო პროექტების დაფინანსება 500-დან 4000 ლარის ფარგლებში ბენეფიციარის პროფესიიდან, ცოდნიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შემოსავლის წყაროს გაჩენის, თვითდასაქმებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით

პროექტების დაფინანსება. პროექტები დაფინანსდება როგორც ინდივიდუალური სახით ერთ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ისე რამდენიმე ბენეფიციარის გაერთიანებით და ასევე არსებულ ეკონომიკურ საქმიანობაში ბენეფიციარის ჩართვის/დასაქმების ფორმით. ბენეფიციართა გაერთიანების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსებისათვის თანხა განისაზღვრება ჯგუფში შემავალი ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა 1000 ლარის ფარგლებში;

- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა;
- პროფესიული სწავლების დაფინანსება. დაფინანსება მოხდება განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევებში, რომელიც არ აძლევს საშუალებას ბენეფიციარს ისარგებლოს ზემოაღნიშნული პროგრამით, ან/და იმ გარემოების გამო, რომ ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უმჯობესია ისარგებლოს პროფესიული სწავლების შესაძლებლობით ამ პროგრამის მიღმა. საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა (სერვისის მიწოდება მოხდება N0100 (თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა- მთიანეთი) მიმართულების ფარგლებში):

- საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი ემიგრანტების დაბრუნებისთანავე, გამოკვეთილი

საჭიროებების შემთხვევაში, ბენეფიციარის არაუმეტეს 6 ღამით დროებითი განთავსების უზრუნველყოფა კვებით. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

ტელეფონი: (+995) 32 243 11 00
ელ. ფოსტა: reintegration@mra.gov.ge
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0177, თამარაშვილის ქ. 15ა
ვებ-გვერდი: www.mra.gov.ge